სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიში 2007.06 – 2008.06

დაარსების დღიდან **სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის** ინიციატივით, თანამშრომლობით და ხელშეწყობით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

კონფერენცია / საზაფხულო სკოლა

- ორგანიზებული და ჩატარებული იქნა NATO-ს სამეცნიერო პროექტების შესაფასებელი კონფერენცია (2007 წლის მაისი).
- ორგანიზებულ და ჩატარებულ იქნა სტუდენტური საზაფხულო სკოლა ფიზიკაში (თსუ-ს საერთაშორისო სტუდენტური სკოლა გრავიტაციაში, კოსმოლოგიაში და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში; მოწვეული მეცნიერები: გ. დვალი, გ. გაბადაძე, 2007 წლის ივლისი).
- სამეცნიერო დეპარტამენტის თანამონაწილეობით ჩატარებულ იქნა საერთაშორისო კონფერენციები: «საქართველო და საფრანგეთი: ღვინის ორი ცივილიზაცია», “მაღალტემპერატურული ზეგამტარობა: ორიგინალური კონცეფცია და ახალი შედეგები”, "ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე"

სემინარი / ტრეინინგი / Workshop

- კვლევითი ინსტიტუტების მკვლევარებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სასწავლო დეპარტამენტთან ერთად ორგანიზებული და განხორციელებულ იქნა დოქტორანტურის პროგრამისა და დებულების გაცნობის საინფორმაციო სემინარები (2007 წლის ოქტომბერი, თსუ და მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი)

- სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების (GNSF, GRDF, CRDF, USTC, NATO) საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით პერმანენტულად მიმდინარეობს ფონდების წარმომადგენლების თსუ-ში მოწვევა და სემინარებისა და “Work Shop” –ების ჩატარება (2007 წლის ივნისი, სექტემბერი, ოქტომბერი, 2008 წლის აპრილი, მაისი)

- ახალგაზრდა მეცნიერებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და სტიპენდიების (ი. ბერიტაშვილის, ი. ვეკუას სტიპენდიები, ახალგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო გრანტი, საერთაშორისო სტიპენდიები) საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით დეპარტამენტში რეგულარულად (თვეში ორჯერ) მიმდინარეობს ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათი ტრეინინგი.

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან ერთად აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრეინინგი საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსების გამოყენებისათვის (2008 წლის იანვარი)

- საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (GNSF), საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (GRDF) და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF) მიერ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტთან ერთად 2008 წლის 16-17 აპრილს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესიული უნარ-ჩვევების სემინარი ახალგაზრდა მეცნიერთათვის.

შეხვედრები

- პერმანენტულად წარმოებს სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების სამეცნიერო სამსახურებთან და აკადემიურ პერსონალთან (თვეში ორჯერ) მიმდინარე სამეცნიერო-პრაქტიკულ, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე.
- დეპარტამენტის ინიციატივით მოძიებულ იქნა უნივერსიტეტში არსებული, მეცნიერების კომერციალიზაციისთვის ღირებული წინადადებები და 2008 წლის 7 მაისს შედგა პირველი საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს–სექტორთან, რომელზეც წარმოდგენილ იქნა ინოვაციური პროექტები.
- 2008 წლის 9 ივნისს დეპარტამენტის ინიციატივით ორგანიზებულ იქნა უნივერსიტეტის თანამშრომელთა შეხვედრა ამერიკულ საგამომცემლო კომპანია "Nova-Science"–ის ვიცე–პრეზიდენტთან – ქ–ნ ნადია გოცირიძე–კოლამბოსთან. შედგა ინგლისურენოვანი ქართული სამეცნიერო ჟურნალის პრეზენტაცია და განხილულ იქნა "Nova-Science"–თან თანამშრომლობის პერსპექტივები.

დებულებები

- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება (დანართი 1)
- შემუშავებულ იქნა თსუ-ში სამეცნიერო პროექტების შეფასების სავარაუდო საკონკურსო დებულების პროექტი (2007 წლის ივნისი).
- შემუშავებულ იქნა ინტერდისციპლინარული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულების პროექტი (2007 წლის ივლისი)
- დეპარტამენტში შემუშავებულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან ინტეგრაციის სანიმუშო დებულების პროექტი, მიმდინარეობს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან აღნიშნულ თემაზე სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები (ფიზიკის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, მორფოლოგიის ინსტიტუტი და სხვა).
- დეპარტამენტში შემუშავებულ იქნა თსუ-ს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ინსტიტუტის სანიმუშო დებულების პროექტი (განხილვის პროცესშია ფაკულტეტებზე).

პროექტები / გრანტები

- USAID–ის მიერ ორგანიზებულ პროექტში (**PAR - Public Administration Reform Program**), კონკურსის ორივე ეტაპზე (I და II ეტაპი) დეპარტამენტის მიერ პერსონალის მართვის დეპარტამენტთან ერთად მომზადებულ და წარდგენილ იქნა საგრანტო პროექტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს კონკურსის შესაბამისი ეტაპები (2007 წლის ივლისი, ოქტომბერი).

- დეპარტამენტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და ესტონელ პარტნიორებთან ერთად მომზადებულ და წარდგენილ იქნა ესტონური საგრანტო პროექტი: "საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში (**INNOTRANS**)", რომელიც დაფინანსდა და დაგეგმილი ოთხი სესიიდან პირველი ჩატარდა ამა წლის 27-30 მაისს.

- დეპარტამენტის ინიციატივით კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაციის და სასკოლო ასაკის ბავშვებში მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით თსუ-ს ბაზაზე ხორციელდება პროექტი - **საბავშვო უნივერსიტეტი**.

- დეპარტამენტის მიერ (გ. ღვედაშვილი) მოპოვებულია ნატოს "მეცნიერება მშვიდობისთვის" პროგრამის ფარგლებში **ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტი**, რომლის მიზანია თსუ-ში ინტერდისციპლინარული ცენტრის ჩამოყალიბება და დისტანციური სწავლების დანერგვა.

ტრეინინგებში მონაწილეობა

- დეპარტამენტი (წარმომადგენელი გ. ღვედაშვილი) მონაწილეობდა UNTC უკრაინის სამეცნიერო ტექნოლოგიური ფონდის მიერ ორგანიზებულ მეცნიერების კომერციალიზაციის მთავარი სპეციალისტის მოსამზადებელ ტრეინინგში (2007 წლის ნოემბერ-დეკემბერი). მომზადებულია ბიზნეს გეგმის სანიმუშო ვარიანტი; შედგა პირველადი ტექნოლოგიური აუდიტი, მიმდინარეობს ინოვაციური პროექტების ავტორებთან მუშაობა ბიზნესგეგმების მომზადების მიზნით.
- დეპარტამენტი უნივერსიტეტის სხვა სამსახურებთან ერთად მინაწილეობდა USAID–ის მიერ ორგანიზებულ სტრატეგიული დაგეგმარება-განვითარების ტრეინინგში (2007 წლის აგვისტო-სექტემბერი, მოწვეული სპეციალისტი Monica Gould)

სხვა აქტივობა

- მომზადდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის საგრანტო კონკურსის სტატისტიკური ანალიზი (დანართი 2).
- პერმანენტულად მიმდინარეობს საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები, საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობა.
- საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებულ ქართველ პროფესორებთან პერმანენტულად მიმდინარეობს თანამშრომლობა: მოწვევა და თსუ-ში ლექციათა ციკლის ჩატარება-ორგანიზება (2007-08 წელი: გ. მახათაძე, გ. მაჩაიძე, გ. დვალი, გ. გაბადაძე, რ. ენუქაშვილი, დ. ყოლბაია, ზ. კოკაია)
- აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ INTAS-ის ეგიდით ორგანიზებულ კონფერენციაზე წარდგენილ იქნა უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრეზენტაცია (2007 წლის ივნისი).
- მიმდინარეობს მსოფლიოს უმსხვილეს სამეცნიერო ელექტრონულ რესურს-ცენტრებთან (Thomson Scientific და Springer library) კონსულტაციები, მათი მონაცემთა ბაზის სადემონსტრაციო პერიოდის გამოყენებით ჩატარდა თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და მედიცინის ფაკულტეტის სრული აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსის მოძიება და დათვლა (2007 წლის ოქტომბერი, ნოემბერი).

- ჩატარდა თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გარკვეული მიმართულებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია, გეოლოგია) სასწავლო პროგრამებისა და პროცესის შედარებითი ანალიზი (2007 წლის დეკემბერი).
- დეპარტამენტის ინიციატივით უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი საინფორმაციო ტექნოლოგიებში.
- თსუ-ს ელექტრონულ გვერდზე შექმნილია სამეცნიერო კვლევების ამსახველი განყოფილება, სადაც განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებისა და სხვა დონორი ორგანიზაციების შესახებ საცნობარო ინფორმაცია, ფაკულტეტების სამეცნიერო აქტივობის ამსახველი მასალა, ინფორმაცია მიმდინარე საგრანტო კონკურსების შესახებ და სხვა.
- ჩატარდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის (GNSF) მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსში თსუ-დან წარდგენილი პროექტების პირველადი სტატისტიკური დამუშავება (2008 წლის ივნისი) და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ანალიზი (დანართი 3).

- დეპარტამენტი შს სამინისტროს საარქივო სამმართველოსთან ერთად ახორციელებს საარქივო ფონდების ხელახალ სისტემატიზაციას, საგნობრივ–თემატური ნიშნით გადაჯგუფებას, აგრეთვე მონაცემების ელექტრონიზაციას და სისტემურ–ანალიზურ სამუშაოებს (არქივები მოიცავს ყოფილი უშიშროების სამინისტროსა და „ყოფილი საბჭოთა პარტიული ორგანოების“ არქივებს). შს სამინისტროსთან შეთანხმებით, თსუ-ს სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ეძლევათ უნიკალური მასალების გაცნობის, მუშაობის და შესაბამისი თემების, სადიპლომო თუ სხვა სახის ნაშრომების მომზადების შესაძლებლობა.

- განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მომზადებული და განხორციელების სტადიაშია ინფრასტრუქტურის გრანტი, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიების შესყიდვა/განახლებას და ინტერდისციპლინარული ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნას.

მოსაზრებები არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე

- გრანტების მოპოვების მიზნით საქმიანობის გააქტიურება, განსაკუთრებით საერთაშორისო ფონდებთან მიმართებაში;
- თსუ-ში არსებულ საერთაშორისო ელექტრონულ პერიოდიკასთან კონტაქტის გააქტიურება;
- კვლევაზე დაფუძნებული სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების შექმნა, საგრანტო პროექტებში დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მონაწილეობის აუცილებლად გათვალისწინება;
- თსუ-ში ამ ეტაპზე სტრატეგიული სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების ჩამოყალიბება;
- თსუ-ს შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის შექმნა პრიორიტეტული მიმართულებებით კვლევების ხელშეწყობის მიზნით;
- საუნივერსიტეტო სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაარსება;
- თსუ-ში “პოსტდოკი”-ის ინსტიტუტის ამოქმედება;
- “მეცნიერების მართვის” კურსის ჩამოყალიბება, ინოვაციური ტექნოლოგიების გადაცემაზე მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან ერთად;
- კონსულტაციები უფლებამოსილ ორგანოებთან პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების ხელშეწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის მიზნით.